

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბლის ქუჩაზე, მედიკიშვილის სახლში, № 43  
**ქანტორა რედაქციისა:** მედიკიშვილის სტამბაში, ბანკის ქუჩაზე.

**ხელის-მწერა:** მიიღება ქანტორაში, ბარეშე მცხოვრებთათვის: В. Г. Паша. В. редакцію газ. „Дროგა“.

**აბაზეთის ფასი:** მთელის წლის—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს რუბლად

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** დასაწყისით ასობზე—3 კაპ., სხვა შემთხვევებით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივს ციფროთი—5 კაპ., პატრა—4 კაპ.

**რედაქციის უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

**„დროებასა“ ისწილება:**  
**მართანობის წიგნის** მალაზიაში (ძუკიის ხილზე, მიროზოვის შენობაში)  
**გრიშვროვის წიგნის** მალაზიაში (ძუკიის ხილთან, ზუბალოვის სახლში)  
**„სულთანის“** თამბაქოს მალაზიაში (სულის ქვეშ).  
**„პარლანახის“** სარდაფში (სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში)  
**აზნაშროვის** თამბაქოს მალაზიაში (ბულვარზე)  
**გრიგოლოვის მალაზიაში** („ბავჯის“ სასტუმროს ქვეშ, მიროზოვის სახლში).  
**ჯიშვროვის** თამბაქოს მალაზიაში (ძუკიის ხილზე).  
**შუთისში**—სვ. ჩომახიძისთან (ბუბერნიის სტამბაში).

## ოქმის აზვები

აზიის ბრძოლის ველიდან

უცხო ქვეყნის გაზეთები გვარწმუნებენ, რომ ოსმალთს მცირე აზიაში სულ 130,000 კაცი ჯარი ჰყავსო. ამ რიცხვიდან თვითონ მუხთარ-ფაშას ჰყავს 25 ბატალიონი ქვევითა ჯარი, 4,000 ლაზი აგრეთვე ქვევითა და 3,500 ჩერქესის ცხენოსანი, სულ 20,000 კაცადინა. მარცხენა ფლანგს შეადგენენ ჰაბირ-ფაშისა და რეშიდ-ფაშის ატრიალები, 18 ბატალიონი ქვევითა ჯარი და 4,500 ბაშიბუზუყი, სულ 14,000 კაცი. მარჯვენა ფლანგის სარდლად კი იზმაილ-ფაშა არის, რომელსაც ჰყავს: 32,000 ქვევითა ჯარი და 14,000 ცხენოსანი, რომლის პირ-და-პირ სარდლად სულთანის ლენერალ-ადიუტანტი შამილი ითვლება. ამას გარდა არზრუმში დგას 20,000 ქვევითა ჯარი, 4,000 ცხენოსანი და 7,000 იმპერატორის გვარდია.

ზაზეთის „Голос“-ის სიტყვით, ჩვენის მხრით კი მცირე აზიაში ამ ჟამად 75,000 კაცადინ არის ბრძოლის ველზედ გაყვანილი.

„შენევის შურნალში“ დაბეჭდილი დეპეშა გვაცნობებს, რომ სულთანმა ბრძანება გამოსცაო, რომ ამ მოკლე დროში 500,000 კაცი მოაგროვონ სახელმწიფოში და დააბანაკონ ანდრიანოპოლში, სოფიაში და ბოლგარის სხვა ალაგებში. ამას გარდა 60,000 კაცი მარტო მცირე აზიაში (ანატოლიაში) უნდა მოაგროვონ.

ს. პეტერბურლის „შუყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა:

მ. შურუქ-ღარა, 15 აგვისტოს. მ. ი. შმალესობა ნამესტნიკი აქ რჩება. იმასთან იმყოფება ლენერალური შტაბის ლენერალი ობუჩრევი ახლად მოსული პეტერბურლიდან, აგრეთვე ლენერალი ტრუბეცკი და პავლოვი. ჩერნიავეი ალექსანდროპოლშია.

ოსმალებმა გაამაგრეს შიზილ-თაფის მთები და ჩამოიწიეს ძირს ალაჯის სიმაღლეებიდან შაშის ბარში. მოწინავე ჯარი ამათი ბაშ-ადიკ-ლარიდან სოფ. მღუზლიში არის დაბანაკებული.

15 აგვისტოს ჩვენის მხრით მოკლულია: 8 აფიცერი და 237 კაცი; დაჭრილი არიან: 34 აფიცერი და 712 კაცი.

„თფილისის მოამბეში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა სოხუმის ალების თაობაზე:

სოხუმი, 20 აგვისტოს. დღეს დილის 6 საათზე პოლკოვნიკის შოლკოვნიკოვის ატრიადმა და მერე შარუნისამ დაიჭირეს სოხუმის გარშემო მთები და შემდეგ თვითონ სოხუმიც. ამ დროს ოსმალოები 8 ჯაგშნიან ხომალდებიდან, რომლებზედაც ოსმალოთა ჯარი სხდებოდა, გვესროდნენ ზარბაზნებს, მაგრამ ვერა გვაზარალეს, მხოლოდ ერთი ქვევითი ყაზახი-რუსი დაგვიჭრეს.

ჩვენი ჯარები ზღვის ნაპირს ვერ მიუახლოვდნენ, რადგან პოლკ. შოლკოვნიკოვს მიღებული ჰქონდა ნამდილი ცნობა, რომ იქ ლაღმები არის ოსმალოებისაგან გაკეთებულიო.

შალაქი სრულიად გადამწვარია. ბოტანიკური ბაღი, აგრეთვე სხვა ბაღები და ხეები გადამწვარი და აჭრილია. მოკლული საქონელი ახლობით ჰყრია ქუჩებში და ჰაერს აფუჭებს. მაიაკი გაფუჭებულია, იმის გარშემო შენობა აგრეთვე დაუწვავთ. შალაქში ბევრი ცოცხალი საქონელიც დასტოვეს ოსმალოებმა.

„პეტერბურლის უწყებაში“ დაბეჭდილი ტელეგრამა გვაცნობებს, რომ 18 აგვისტოს ჩვენმა ჯარმა დაიჭირა და გაამაგრა ში-თაფის მთა და შარაიალიო. მკითხველმა იცის, რომ მას შემდეგ მაშკადიკ-ლარი ისევ ოსმალოებს ჩაუვარდათ ხელში და ამას გარდა ახლა ისინი შგუზლიში არიან გამაგრებულნი; ჩვენი ჯარის ბანაკი კი ამ ჟამად შარაიალის სიმაღლეებზედ იმყოფება.

მარტოს ბრძოლის ველიდან

ზაზეთს „Tagblatt“-ში იწერებიან ბელგრადიდან, რომ, რადგან ოსმალებმა სერბიის სამხედვარზე თავის ჯარები დააყენა, ამის გამო ეს სახელმწიფო ჯარკიდევ ვერ ჰბედავს ამ ომში მონაწილეობის მიღებასაო.

## ტელეგრაფები

პარიში, 23 აგვისტოს. ზუშინ სალამოს უეცრად გარდაიცვალა სიღამისისაგან ადოლფ ტიერი.

ტიერს დამარხებენ სახელმწიფო ხარჯით (განსაკუთრებული პატივისცემის ნიშანია). მარშალ მაკ-მაჰონმა ტიერის მეუღლეს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც თავის თანამოზიარებობას უცხადებს იმის მწუხარებაში.

პარიში, 22 აგვისტოს. პარიზ-ფაშა ოსმალეთის ელჩად დაინიშნა პარიჟში.

რაგუზა, 22 აგვისტოს. 6,000 ჩერნოგორიელი მიდგომილია ნაკშიჩის ასაღებად; დანარჩენი ოსმალოთა ჯარის მისაგებებელად არის წასული.

ლონდონი, 23 აგვისტოს. ზაზეთი „Standard“ ამბობს, რომ ძალიანაც, რომ უნდოდეთ მეროპის სახელმწიფოებს, ამ რუს-ოსმალოთა ომში მაინც ვერ მიიღებენ მონაწილეობასაო.

ბელგრადი, 23 აგვისტოს. სერბის ჯარი ვიდინთანა და ნიშთან იმოქმედებს ოსმალოების წინააღმდეგ.

სტამბოლი, 23 აგვისტოს. ოსმალეთის წარმომადგენელთა პალატა (ნაციონალური ძრება) 19 ოქტომბერს გაიხსნება.

# საქართველო

დღიური

„ქენევის ჟურნალში“ (№18) დაბეჭდულია შემდეგი ტელეგრამა ბუხარესტიდან 21 აგვისტოს მიღებული:

„რადგან შესაძლებელია, რომ რუსის არმიამ ეს ზამთარი რუმინიაში გაატაროს შემდეგ ომის გასაგრძობად, ამის გამო ახლა რუსები დიდძალ შეშას საქონელს და სურსათს ჰყიდულობენ და ლუნაის მარცხენა ნაპირზედ მაღაზიებში შენახვას აპირებენ.“

ლონდონის გაზეთი „Standard“ გვაცნობებს 22 აგვისტოდან, რომ ტუსტენჯესთან გამოვიდა ხომალდებით 10,000 კაცი მსმალოს ჯარი და ჩერნოვოდისკენ მიდიან 8,000 მგვიბტის ჯარითერთად იმ განზრახვით, რომ შეებან რუსებს, რომელთაც ტუსტენჯესა და ჩერნოვოდს შუა გამაგრებული გზა უჭირავთ.

სხვა გაზეთები კი გვარწმუნებენ, რომ ეს ამბავი ტყუილი არისო, ტუსტენჯე ჯერ კიდევ რუსის ჯარის ხელში არისო.

პარიზის გაზეთს „Le Temps“-ში (22 (10) აგვისტოს ნომერში) ვაღმობეჭდილია შემდეგი დეპეშა „ჰავასის აგენტობიდან“:

„მოგვარი ჰაზრი ტრიალობს აქ რუსის ლუნაის არმიის დენერალურ შტაფში: ზოგი ჰტიქრობს, რომ შემდეგ ომიანობის საქმის წაყვანისათვის და რადგან ამ ზამთარში ბრძოლა ვერ გათავდება, ამის გამო უკეთესი იქნებაო, რომ შიპკოს გასაგალი, ტირნოვო და საზოგადოთ ბოლგარიაში დაჭერილი სხვა ადგილები მივატოვოთ, უკან დავიწიოთ და მხოლოდ იმით დავკმაყოფილდეთ, რომ რუსჩუკსა, სილისტრიას და სხვა ლუნაის ტერიტორია გარს შემოვარტყათ ჯარები და გაეწიროთ. სხვები ამბობენ, რომ ამ გვარად უკან დიწვევა ძალიან ცუდს შთაბეჭდილებას მოახდენს როგორც ჯარზე, აგრეთვე რუსეთზედო და ამიტომ სჯობს, თუ მოვახერხებთ, წინ წავიწიოთ და უბრძოლველად მაინც რაც ქალაქები და ადგილები დაგვიტყრია, არ დაუთმოთ მტერსაო.

„ამ უკანასკნელმა ჰაზრმა აჯობა და ამიტომაც ვადაწყვიტეს, რომ განაგრძონ ბრძოლა და ერთხელვე დაჭერილი ადგილები მტერს ნებით არ დაუთმონ.“

შემოხსენებულისავე გაზეთის 21 (9) აგვისტოს ნომერში დაბეჭდილია პეტერბურლიდან მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ ბოლგარიაში ბრძოლის პლანი აბდულ-შერიმ-ფაშას ეკუთვნისო; იმის განზრახვა იყოო, რომ ჯერ წინ გაეშვა რუსის ჯარი და მერე უკნიდან გზა შეეკრა იმათთვისაო. ამ პლანის ძალით მოქმედებს ამ ქამად მსმან-ფაშა, რომელმაც პლენვა წაგვართვა ჩვენაო.

\* \* \* ამ დღეებში მივიღეთ ჩვენ ახალციხიდან ამბავი, რომ იქაური ხალხი ცოტა არ იყოს შეუშინებია აქარლებს. როგორც მობულეთლები არ ასვენებენ გურულებს, ისეც ამათგან ჩვენ სოფლებს მოსვენება არა აქვთო; თითქმის დღე არ გავა ისეო, რომ ხან ერთსა და ხან მეორე სოფელს ახალციხის და ახალქალაქის მახრისას არ დაეცნენ და თითო-ორიოლა მოსახლე არ აიკლონ და პირუტყვი არ მოიტაცონო. ზანსაკუთრებით ხშირად ეცემიან თურმე ფოცხოველებს, რომელთაც ომის დაწყებისათანავე მსმალოებს გადაუდგნენ და ჩვენი მხარე დაიჭირეს.

ამბობენ, რომ ამას წინათ, სხვათა შორის, ჩვენკენ გადმოსული შერიფ-ბეგი დაჭირეს აქარლებმა, მსმალოს მთავრობას მიუყვანეს და ლალატისათვის დასასჯულად სტამბოლში მიჰყავდათო, მაგრამ გზაზე ტრაპიზონიდან გამოქცეულა და ისევ შოცხოვეში მასულა.

\* \* \* როგორც ეტყობა, თფილისის გუბერნიიაშიც ჩნდება ცოტ-ცოტათი ეს საშინელი პირუტყვის ჭირი, რომელიც ამ ქამად ასეთს ზიანს აძლევს იმერეთსამეგრელოსა და ზურიას; ამას გვიმტკიცებს ჩვენ, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ ამ დღეებში სოფ. ნორიოდამ მივიღეთ წერილი, რომელშიაც გვწერენ, რომ პირუტყვის ჭირი გაგვიჩნდაო, რამდენიმე თავი საქონელი უკვე მოგვიკლა და ზოგი ახლაც აეთ გყავსო.

რასაკვირველია, კარგი იქნება, რომ მთავრობამ ახლავე, სანამ გავრცელდებოდეს ეს ჭირი, ყურადღება მიაქციოს და ჯუროვანი ღონისძიების ხმარებით ეცადოს იმის ამ თავიდანმე მოსპობას.

\* \* \* იმ სამი ათასისომხისათვის, რომელნიც ტერ-ლუკასოვმა გადმოიყვანა შიბრე აზიიდან ჩვენში, როგორც გვწერენ, მუთაისში ხელის-მოწერა გაუმართავთ უფ. ტერ-სტეფანოვის თაოსნობითა, თხუთმეტ თუმნამდინ მოუგროვებით და სადაც რიგია გაუგზავნათ იმ საწყლების დასარიგებელად.

\* \* \* ზოგიერთ ქუთათურ ებრაელებისაგან საჩივარი მოგვივიდა იქაურს იმათ რაბინზედ. მართი იმათგანი, სხვათა შორის, გვწერს, რომ ამ რაბინმა ტრაპეზიდან სიტყვა სთქვა გასულს 18 ივლისსაო და გვირხნაო, რომ „მე ვარ მოსე-წინასწამეტყველის ტოლიო და როგორც იმას უფონებდა ღმერთი, ისე მეც მიგონებდა; მე ვიყავი ბზნილი ოთხი თვე და

თუმცა ყველა ყმაწვილები უნდა დაბოცილიყო, მაგრამ ღმერთმა შეცხმუნა ჩემი ლოცვა და მოესწე ეფთხყოფილქვი მისაც მინდა, ვინც ჩემი მორჩილი არ იქნება, მოვკლავ, კუბოს კუბოზე დავაწყობ, და ვინც პატივს მცემს, ვაცოცხლებო და სხვა და სხვა ამგვარები.“

ამბობენ, რომ ებრაელებს მალე კენჭის-ყრა აქვთ დანიშნული (რადგან იმათში რაბინის არჩევა კენჭის-ყრით არის, შემდეგ ადგილობრივმა ლუბერნატორმა უნდა დაამტკიცოს) და რაბინიც ამ განზრახვით ავრცელებს თავის სამწყსოში ამისთანა აზრებს თავის ძლიერებაზედაო.

\* \* \* ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში წერილი სასულიერო სემინარიის „არტელსიჩის“ უფ. დარონ იანკოვისაგან, რომელზედაც ამას წინათ ჩვენს გაზეთში იყო ნათქვამი, რომ იმას სემინარიის ინსპექტორთან, უფ. ტუვინსკისთან, სიტყვა მიაქვს შავირდებზედაო. უფ. იანკოვი მართლულობს თავს, ამბობენ, რომ თავის დღეში იმას ამგვარი საძაგელი საქმე არ ჩაუდენია და არც ჩაიდენს...

არ ვიცით—რომელ ერთს დაუჯეროთ. მაგრამ ეს კია, რომ უფ. ტუვინსკისაგან ამ გვარი წესების და ხელობის შემოღება სემინარიაში გეგმავა და არც გვაკვირვებს.

\* \* \* ახალციხიდან გვატყობინებენ, რომ თითქმის ყოველგვარი ხორაგეული ამ ქალაქში ძალიან გაძვირებულა ამ უკანასკნელ ხანებში; პური ფუთი ექვს აბაზათ ფასობსო და სიმინდი ოთხ აბაზათაო.

\* \* \* ახალციხიდანვე სომხურს გაზეთს „მშაკში“ იწერებიან, რომ ამ აგვისტოს 2-ს იქითკენ საშინელი წვიმა მოსულა და ნიაღვარს ბევრი საწყალი კაცისათვის დიდი ზიანი მიუტია, ზოგისათვის სახლი მოუტაცნია, ზოგისათვის ყანა, ბოსტანი და სხვ. და სხვ.

\* \* \* ჩვენ შევიტყვეთ, რომ ორი ჩინებულნი თხზულება ვადაბეჭდილა ამ მოკლენხანში და ცალკე წაგნებად გამოიცემათ: ერთ თ. ა. ჯამბაკურიან-მრბელიანის ისტორიული მოთხრობა „ასპინძის ომი“ და მეორე თ. ვახტ. მრბელიანის მშვენიერი ლექსი „იმედი.“ (პირველი ამათგანი „ცისკარში იყო დაბეჭდილი და მეორე „ღროებაში“).

„ღროების“ კორექსორდენცია

ალექსანდრაპოლი, 10-ს აგვისტოს. თუმცა აქედამ თქვენ ახლა ომის ამბებს უფრო მოვლით, ვინემ სხვა გვარ რაიმე ამბავს, მაგრამ ნება მომეცით, რომ ამ პირველ შემთხვევაში მოგვლაპარაკოთ

იმ ახირებულ ჩვეულებასზე, რომელიც ამ ოთხი-ხუთის თვის ჩემს აქ ყოფნაში ხალხის ცხოვრებაში შევნიშნე მე აქ. ეს შესანიშნავი რაიბე არის ჯილდოობა მპარავთა მკარგავთაგან. ამ გვარი ჯილდოობა მინახამს თვით ჩემ სამშობლო ქალაქში, ახალციხეში და იქნება იყოს ეს ჩვეულება კიდევ სხვა უფზის ქალაქებში, მაგრამ, არა მგონია, რომ იყოს იმათში ასე განხორციელებული, როგორც აქ. პი რა არის და როგორ:

ალექსანდროპოლში არ არიან გამოჩენილნი მდიდარნი, მაგრამ საზოგადოთ არც ძალიან შეუძლებულნი არიან. წელს ამ ცოტა ხანში, ესე იგი ომიანობის წყალობით, ბევრმა გაათბეს ხელი, ბევრმა გაიმავრა ზურგი და ამისთვის იგინი ეხვეწებიან ლბერას და ნატრულობენ, რომ ვაგრძელდეს მაინც ამ გვარი მათთვის ღრობა, თუ მუდამ წელიწადს არ იქმნება.

ღიან, იმას მოგახსენებდით, რომ აქ არ არიან საზოგადოდ ძალიან შეუძლებელნი მცხოვრებნი: ზოგსა ჰყავს ცხენი, ზოგს წყვილი ძროხა, ზოგს რამდენიმე თავი ცხვარი, ანუ თხა; შინაური ფრინველები ხომ ყველას ჰყავს; მრავალნი არიან ხელოსანნი და ვაჭრები.

პი გამოუვარდა ან გამოვარა ეზოდგან თხა, ესთქვათ (ბეურქას \*). პი შეხვდა ბეურქას მეზობელი, ესთქვათ ძარაპეტა, ამ თხას და როდესაც შენიშნა, რომ დიდ ხანს დადის აქა-იქ უპატრონოთ, აუქნია-გაუქნია ხელი ამ „დაკარგულ“ თხას და შეიყვანა თავის სახლში.

ნუ გეგონოს, რომ ძარაპეტამ დაჰკლას იგი, არა—ეს დიდი ცოდვაა მათში; მან უნდა შეუნახოს ღრამდე პატრონსა, რომელმაც „დაკარგა“. პი პატრონმაც შენიშნა, რომ თხა აღარ არის ეზოში; ნუ გეგონებათ, რომ მან დაიწყოს აქა-იქ მისი ძებნა; არა, იგი დარწმუნებულია, რომ მისი თხა სრულიად არ არის დაკარგული და ადრე თუ გვიან, იპოვოს, ამისთვის, რომ თვითონაც უქმნია სხვებისთვის ამ გვარი კეთილი საქმე.

ზათენდა. ბეურქამ გაგზავნა თავის შვილი დასაძახებლად მარტირუხასთან, რომელიც ქუჩა-ქუჩა მოყვირალი კაცია. მარტირუხამ მაშინვე გაიგო, რისთვისაც ეძახიან. ძარაპეტამაც ამ ხნის განმავლობაში ჩაიკვა ტანთ-ფეხი და, როდესაც ეშვადებოდა სახლიდგან ბაზარში ანუ სხვაგან წასვლას, დაუგლო სიტყვა ეისმეს სახლში: „თუ რომ თხის მოყვირალი გამოჩნდეს ვინმე, ასწიეთ და მი-

ეცი თხა, მაგრამ „საპოვნელა“ (?) ჰაა! გამოართვით“.

თხის პატრონი ეუბნება მარტირუხას: ბეთაყვა თხა დამეკარგა გუშინ; ჰალბათ ეისმეს შეუარდებოდა (!) სახლში და მინახამენ; დღეს „ჩემთვის იყვირე“ ქალაქში; ვიცი (?) გამოაჩენენ; შენი შრომის ფასი ხომ იცი და თხის „საპოვნელა“, ჯანი გავარდეს, ერთი მანეთი ჰალალი იყოს.

მარტირუხა მისცემს მტკიცე პირობას, რომ ერთ გულად, მალ-მალ და მალალ ხმით იყვირებს მის თხისათვის და, მართლაც, რა წამსაც გამოვა ბეურქას ეზოდგან, შეჰქმნის ერთს საზარელ ყვირილს ხან გრძლივ და ისე გაურკვეველად, რომ თუ კაცი საგანგებოდ არ მივიდა და არ დაეკითხა, თუ ვის რა დაჰკარგვია და ან რა „საპოვნელა“, ვერას გაიგებს. ეს მოყვირალი იძახის სომხურათ, რადგანც მრთელი აქაურნი მცხოვრებნი არიან სომეხნი, და ხან-დახან თათრულათაც ასე:

„ჰალალი იყოს, ბალალი იყოს, ერთი მანეთი მის ყელში იყოს, ვინც იპოვნა გუშინ, ანუ დღეს ამა და ამ ნიშნის თხა და გამოაჩენს მ ა ა ა ა ა ს!“

ეს საწყალი მოხუცებული კაცი დიდიდგან მოყოლებული დადის ქუჩა ქუჩა და ბაზარში და მართლათაც ერთგულად ყვირის მალმალ თხისათვის.

პი ბოლოს ძარაპეტამ მოჰკრა ყური ამ ყვირილს; დაუხლოვდება მას, უქნევს ხელს და ეძახის, თუ თხა ხომ არავის არ დაჰკარგვიაო? ისიც ეუბნება, რომ სწორეთ თხისთვის ყვირიო. ძარაპეტა სთხოვს „საპოვნელას“, მარტირუხა აძლევს მანეთსა და ეუბნება: „ჰალალი იყოსო!“ და წაუღენ ორინვე გახარებულინი სახლში საცა თხა არის შენახული. მარტირუხა მიჰგერის თხას ბეურქას ღიმილით დს მიიღებს მისგან თავის შრომის ფასს, მგონი აბაზია, (თუ მეტი ომიანობის გამო!

იმ დღეს ჩავიარე ბაზარში ცხენით ვნახოთ, უცბათ ჩემ წინ შეჰქმნა კიდევ საზარელი ყვირილი ვაგრძელებით სხვა კაცმა. დავეკითხე მას რუსულათ, თუ რაზე ყვირი-მეთქვი; მან მითხრა:

„ბარინ! აღინ კაროვა ფარფალი!“

მეოთხე დღეს კიდევ ყვირილი, ახლა ცხვარზე; მეხუთე დღეს კიდევ ყვირილი—ახლა ცხენზე და ამ ნაირად, თუ მუდამ დღე არა, დღე-გამოშვებით მაინც აუცილებლად ისმენს აქ კაცი ამგვარ მუზიკას ბაზარში, თუ ქუჩაში.

შემოთაც გამოიცნობთ—თუ რისგან წარმოსდგება ამ გვარი განხორბული ყვირილი? რატომ არ იკარგება სა-მუდამოთ ცხვარი, ანუ თხა, ანუ ძროხა და სხვა? რისთვის ესე ერთგულათ ყურს

უგდებენ აქაურები, ერთი მეორის პირუტყვეს?!

შესანიშნავია მართლაც ის, რომ ჰყვირიან ნიეთების დაკარგვასზე, ე. ი. იმ გვარ ნიეთებზე, რომელთაც ვერ შეუძლიანთ გავარდნა ანუ გაპარვა თხასათვის ეზოდგან, თუ კაცი არ მოეხამრა.

ბ. ზედგინიძე

## უსხო ქვეყნები

### საზრახვითი

ბუშინდელმა ტელეგრამამამ პარიჟი-დამ დიდად ყურადღების ღირსი ამბავი მოგვიტანა—გამოჩენილი სახელმწიფო კაცის და საფრანგეთის რესპუბლიკის აღრინდელი პრეზიდენტის ადოლფ ტიერის გადაცალგებაზედ. თუ ეს ამბავი გამართლდა, ამ გარემოებას, უეჭველია, დიდი გავლენა ექნება საფრანგეთის სახელმწიფო საქმეებზე, რადგან ტიერი იყო ყველაზედ ზომიერი და გავლენიანი წარმომადგენელი რესპუბლიკური პარტიისა, რომელსაც ამ უკანასკნელ დროს ამდენი დაუძინებელი მტერი ამოუჩნდა და რომლის მოწინავე კაცად, მოთავედ ტიერი იყო ამორჩეული.

რასაკვირველია, ეს პარტია საფრანგეთში ისეთი ცხოველი და ძლიერია, რომ ერთი კაცის დაკლება, რაც უნდა ძლიერი და გავლენიანი იყოს ეს კაცი, მაინცა-და-მაინც საგრძნობელ დასაკლის ვერ შეადგენს რესპუბლიკის საქმისათვის. მაგრამ ამ „აუცილებელად საჭირო კაცის“ სიკვდილით მონარხისტები, უეჭველია, მაინც ისარგებლებენ და ხალხის საჩვენებელად ის ექნებათ, რომ, თუ არ ისევე მაკ-მაჰონი, სხვა კაცი რესპუბლიკურ პარტიაში არავინ არისო, რომ იმის ადგილი ღირსეულად დაიჭიროსო; ისინი იყვირებენ, რომ ტიერი აჩერებდა კიდევ შამბეტას მსგავს რესპუბლიკელებს და ახლა, როცა ის მიიცივალა, ეს პარტია უთავოთ დარჩა და თუ იმათ ხელში ჩავარდა საფრანგეთი, ხალხი დაილუპებაო და სხვ. და სხვ.

და ვინ იტყვის, რომ ამ გვარის მოსაზრებით ზოგიერთი ფრთხალი ხალხი არ შეაშინონ და ამ ხერხით რესპუბლიკის საქმეს არ მოაშონ. მაგრამ როგორც ზევით ვსთქვით, რესპუბლიკა ისე მაგრად დგას საფრანგეთში, რომ ერთი პირის მოკლება იმას ვერას დააკლებს...

### ინფლისი

ჩარლზ მენიოლმა გარდასცა რუსის დაჭრილებისათვის მზრუნველ ლონდონის კომიტეტს 2 ათასი გირვანქა სტერლინგი (15 ათას მანეთამდინ); ამ ფულის ნახევარი უნდა გარდასცენ ომში მოკლულების ობლებს და ქვრივებს.

\*) აქ და ქვემოთაც სომეხთ სახელებს ვხმარობ მისთვის, რომ თითქმის მრთელ ალექსანდროპოლის მცხოვრებნი არიან სომეხნი.

— „ჰევისის სააგენტო“ გვადნობებს. ბე-  
ლოგრადიდან, რომ ბრიტანიის კონსულმა  
გადასცა სერბიის მთავრობასაო, რომ  
თუ სერბია გაერევა ამ ომში და თუ  
დამარცხებული შეიქნა, არავის დახმარე-  
ბას აღარ უნდა მოელოდეს შემდეგ;  
როგორც უნდა, ისე მოეპყრობა იმას  
მსამაღეთიო.

# წერილი

რედაქტორო!

წიგნაღელი „დროების“ მე-№ 91  
წიგნითხე, რომ ვითომც თქვენთვის ენ-  
ბოს ვისმე ერთი ახირებული ამბავი  
ქიეთიხევის მღვდლისა; ვითომც სოფელს,  
კანონისამებრ, თავიანთი მღვდელი დაე-  
ყენებინოს ერთი გლეხის სახლში, ათი  
წელიწადი მდგარიყვეს, მერმე გარდაც-  
ლილიყვეს და შეიღოს დარჩენილეს მე-  
მკვიდრეობით ის პრიხოდოც და ის სახ-  
ლიც, ორი წელიწადიც შეიღო მდგარი-  
ყვეს და მერმე იმ სახლის პატრონს  
გლეხს ეთხოვნოს თავისი სახლი და  
მღვდელს ეპასუხნოს: ათი წელიწადი  
მამა იდგა, ორიც მე ვსდგევაო, ათის  
წლის ხნიერება გავიდა, სახლი ჩემიაო,  
არ მოგცემო!

ეს ანბავი არის ტყუილი და ცილის-  
წამება, არც აზრი და არც ერთი სიტყვა  
არ შეიცვენ თვის შორის სამართლესა;  
არამედ არიან წარმომდგარნი შურისა  
და სიბოროტისაგან.

მამაჩემი მღვდელი დადგა ერთი გლე-  
ხის-კაცის ქვრივის სახლში, არა იმიტო-  
მა რომ სოფელს მიეცეს, არამედ ფული  
ემართა, ვალდებულება ჰქონდა და იმი-  
სართვისა; შემდეგ, როდესაც 1873 წ. დე-  
კემბერში, დიმიასურა პენსია და ასტავ-  
კაში გამოვიდა, სახლი თავის პატრონს  
ჩააბარა და თვით, ცხლაც ცოცხალი,

სდგას სხვა თავის სოფელში თავისავე სა-  
კუთარს სახლში.

იპავე წელში მე მოვედი მღვდლათა  
ქავთისხევიში, არა მემკვიდრეობითა, არა-  
მედ ჩემის პირადი ღირსებითა, და მაში-  
ნათვე დაესდგეჩი აქაურის თავადის სახლ-  
ში; როდესაც მას თავისი სახლი დასქი-  
რდა, დაუცალე და მერმე დაესდგეჩი მღვ-  
დლის სახლში ქირით და ავერ ოთხი წე-  
ლიწადი სრულდება, ვსდგევაო და ქირას  
ვამღევ. არც არავის გლეხის-კაცის სახ-  
ლში მდგარვარ და არც არავის ჩემთანა  
ჰქონია ისეთი ლაპარაკი, როგორც არის  
თქვენის „დროების“ № 91-ში მოხსენ-  
ებულნი.

ქავთისხევის მღვდელი

12 აგვისტოს

## განცხადებანი

### მასათმს და მახანიოხს რუ- ბენ ნაკაშიანს

აქვს პა-  
ტივი პატივცემულ მიფილისის საზოგა-  
დოებას აცნობოს, რომ ის ამყოფება  
თამბაქოს ფაბრიკანტის უფ. ნიკოლოზ  
ბოზარჯიანცის მალაზიაში (დენერალ-  
მიოარის არწრუნის ქარვასლაში, შტაბის  
გვერდით) და იღებს **გასაკითხებლად**  
**საათმს და საქარავ და აგრეთვე**  
**სხვა ყოველგვარ მახინებას.**

მაკეთებ აგრეთვე მალაზიაში სათ-  
ვის ფარდებს, მზისაგან დასაფარე-  
ბელად; ამ ფარდებს ის უპირატესობა აქვს,  
რომ უსვეტოთ არის გაკეთებული და  
მეხანიკურის ბორობლით შეიძლება იმის  
აწევა და დაწევა.

### ქალაქის გაგზოვისაგან

თფილისის ქალაქის გაგზოვა ამით  
აცხადებს საყოველთაოდ, რომ, თანა-  
ხმად ქალაქის რჩევის 20 ივნისის გარდა-

წყვეტილებისა, სავაქრო პოლიციის თი-  
თოეულს ბუდკაში არის ცალკე წიგნი  
ჩასაწერად საჩივრებისა იმ მთელიისის ვაჭ-  
რებზე, რომელნიც სავაქრო პოლიციის  
წესდებებს დაარღვევენ.

(3-1)

### დაიხევა და გაგზოვიდა სტამბიდა

ლექსი  
თ. ი. ზ. ჩოლაყაშვილის  
გარდაცვალებაზე  
თავის სურათით  
თქმული

დავით ბივიშვილისაგან  
ისხილება სხვა და სხვა წიგნის მალა-  
ზიებში.

შასი ყველგან ორი შურით.

### ჰსურთ აიხვანონ ჟაჟილავი,

რომელნიც უნდა იყენენ სასწავლე-  
ბელი დაბალი კლასებისთვის მოსამ-  
ზადებლად: აგრეთვე შეუძლიათ ას-  
რულონ **ქანტორჩიკობა** როგორც  
იყოს კანტორა, მამულიის გაგე-  
ობა. იკითხეთ ენფიანჯიანცის წიგნის  
მალაზიაში, დიდი პოლიციის ქვეშ.

### მხსთე კარი

## „შარამანიანი“

გამოვიდა და ისყიდება, ტფილისში:  
მელ იქიშვილის სტამბაში და სხვა წიგნის  
მალაზიებში. სპარსულიდან ქართულს  
ენაზე ნათარგმნი თავის სურათებით. შა-  
სი 40 კაპ. (ორი აბაზი). აგრეთვე ისყიდე-  
ბა ზემოხსენებულ ადგილებში I, II, III,  
და IV კარი შარამანიანისა.

შუთაისში: გუბერნიის სტამბაში  
სეიმონ ჩომახიძესთან.

რ.პ. გზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	გაზანდა	მან. კაპ.
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 20 აგვისტოს		თფილისი, 24 აგვისტოს	
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ქუთაისს, შოთს	1	ქრთი ანეთი ლიხს:		შქე. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1 45
ბორი	11 58	9 43	2 40	1 23	ბორს, დუშეთს, სიღნაღს	50	ლონდონში 24 პენსი.	78	შქეილი წითელი.	1 30
საშურთი	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	პარიჟში 260 ნანტიმი.	81	ჭერი ფუთი.	1
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, პარაშავას	2	სკოტი(სარგებლისფასი)	71	ბამბა ქრევისა, ფუთი	7
ქვირილა	5 49		5 81	3 23	მსამაღეთში, შევიტარიაში	3	ბანკის ბილეთი 5%	94	— ამეროკისა, ფუთი.	8 70
რიონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	მოგებიანი(პირველისესხი)	206 50	ბავეტილი ბამბა ფთ.	8
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მოგებიანი (მეორე სესხი)	206 75	მატული თუშური ფთ.	5
შა-სენაკი	—		8 57	4 76	<b>ფოვბა</b>		ბირაოს ფურცლები:		— თარაქამისა ფთ.	3 40
შოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გა- რეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		თფილ. საზნ. ბანკისა.		აბრეშუმში ნუხური სტ.	2
შოთი	9 13				მზურ. — პარასკ. და ორშ. ძახეთს— სამშ. და შაბ.		ხერსონის ბანკის (5%)	83	ჭონი, ფუთი.	5 20
შა-სენაკი	—		1 18	66	ბ) ქუთაისიდან:		მოსკოვის (5%)	90 50	ჭონის სანთელი ფუთი.	6 60
სამტრედია	11 16		2 61	14	თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურგეთს— ორშ. და პარასკ.		აქციები:		სტეპარის სანთელი, ფ.	11 50
რიონი	12 13		3 41	69	წიგნის ვაგზავენა რუსეთში		მდესის სავაქრო ბანკის	158	ხორცი ძროხისა, ლიტ.	54
ქვირილა	1 18		3 98	2 21	და სამზღვარ გარეთ:		შოთი-თფილ. რკინ. გზის		— ცხვრისა, ლიტრაჟ	63
სურამი	5 12		1 10	5 33	წიგნის ვაგზავენა რუსეთში		შავ ზღვის ცეცხ. გემების	465	სპირტი, გრადუსი	12
საშურთი	5 39		1 37	5 84	და სამზღვარ გარეთ:		ქაქაზის და მერკურის.	203	შაქარი, ბროც. ფუთი	8
ბორი	7 5		4 87	3 64	ლია წიგნის	4	პირვ. საზღვევ. საზოგ.	735 50	— ფენილი ფუთი	7 75
მცხეთა	8 50		6 59	8 5	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8	პეტერბ. საზღვევ. საზ.	235 50	შავა გრვადლი, ფუთი	24
თფილისი	9 31		7 56	9 75			მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	8 50
									მქროლ 1/2 იმპერიალი.	7 80